

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს  
გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

**ოქმი № 3**

ქალაქი რუსთავი

10 დეკემბერი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე;  
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

**ნინო ქავთარაძე**

სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები:

- |                   |   |  |
|-------------------|---|--|
| მალხაზ კომლაძე    | - | გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;<br>საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე  |
| ამირან ჯანჯღავა   | - | გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი;<br>საკრებულოს სამანდატო,საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე   |
| ნანა შატბერაშვილი | - | საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“-ს თავმჯდომარის მოადგილე  |
| ნინო ნიკოლავა     | - | მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი  |
| ნინო ქვირია       | - | მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი |

ასევე ესწრებოდნენ:

დავით იშხნელი	-	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე
გრიგოლ ვეფხვაძე	-	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
გიორგი ჯღარკავა	-	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარის მოადგილე
ეკატერინე მიდოდაშვილი	-	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი
ლაშა ხუციშვილი	-	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელი
ნინო ტაგანაშვილი	-	ა(ა)იპ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს წარმომადგენელი
კონსტანტინე ჩაჩიბაია	-	ა(ა)იპ „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“-ს წარმომადგენელი

**დღის წესრიგი:**

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული სამოქმედო გეგმის განხილვა;
2. ქალთა ოთახის აღდგენის საკითხი;
3. ქალთა გაძლიერების პროგრამა, როგორც რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაწილი;
4. სხვადასხვა.

## საკითხი №1

სხდომის თავმჯდომარემ - **ნინო ქავთარაძემ** სხდომაზე დამსწრეთ გააცნო პირველი საკითხი „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის გენდერული სამოქმედო გეგმის განხილვის შესახებ“ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა არის მუნიციპალიტეტის ერთიანი ხედვა, რომელიც დოკუმენტად იქნება მიღებული საკრებულოს სხდომაზე. მერიის სამსახურებთან კონსულტაციის საშუალებით მიღწეულ იქნა ის, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნება მინიმუმ ერთი პროგრამა ქალთა გაძლიერების კუთხით. ეს პროგრამა იქნება შედეგებზე ორიენტირებული. სამოქმედო გეგმა მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომელშიც მუნიციპალიტეტი ისედაც ჩართულია. ეს შეეხება, მაგალითად, სკოლამდელი აღზრდის თანაბარ უზრუნველყოფას და სხვა. გეგმა გაეზავნათ სამსახურებს, რათა, გარკვეულწილად, გაკეთდეს გენდერული ანალიზი და გამოთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მეორე საკითხი „ქალთა ოთახის აღდგენის შესახებ“ და განმარტა, რომ ამ ეტაპზე ოთახის აღდგენის ინიციატივა გაჟღერებულია და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან მიდის საუბარი შტატის გამოყოფის შესახებ, რომელსაც სერვისის სახით საჭიროებს ქალთა ოთახი. აუცილებელია მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა ოთახის ფუნქციონირებას, აქტივობების, მომსახურების დაგეგმვას და ა.შ. სამოქმედო გეგმაში არის გარკვეული აქტივობები, რომლებიც ქალთა ოთახის მეშვეობით ბევრად უკეთ განხორციელდება, სწორედ ამიტომ ქალთა ოთახის აღდგენა საჭირო და მნიშვნელოვანია.

**ეკატერინე მიდოდაშვილი:** „როდესაც მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა ქალთა ოთახი, ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლები ხშირად მოდიოდნენ და არსებობდა მჭიდრო თანამშრომლობა როგორც მინციპალიტეტთან, ასევე მოქალაქეებთან. ამ ოთახის კვლავინდებური არსებობა საშუალებას მოგვცემს ჩავატაროთ ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. ჩვენ მზად ვართ, სამართლებრივ თუ სხვა საკითხებზე, რაც კი საჭირო იქნება, ჩავატაროთ ტრენინგები“.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრეთ გააცნო მესამე საკითხი - „ქალთა გაძლიერების პროგრამა, როგორც რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ნაწილი“ და განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით სთხოვა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრს - **ნინო ნიკოლაგას**.

**ნინო ნიკოლავა:** „შევიმუშავეთ პროგრამა, რომელიც გენდერულ ნაწილს მოიცავს. გადავწყვიტეთ მომავალი წლის ბიუჯეტში გაგვეთვალისწინებინა ფინანსები ამ კუთხით, ვინაიდან ფინანსური სახსრების გარეშე, მოგეხსენებათ, შეუძლებელია კონკრეტული ღონისძიებები განხორციელდეს. ჩვენ ძირითადად აქცენტი გავაკეთეთ ცნობიერების ამაღლებასა და სატრენინგო მომსახურებაზე. გვაქვს სურვილი, რომ ამით დაინტერესებულნი იყვნენ სხვა მხარეებიც, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციები. ეს პროგრამა ქალებს მისცემს საშუალებას დაიწყონ სამეწარმეო საქმიანობა. ამისთვის საჭირო იქნება შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა მერიაში და დასაბუთება, თუ რისთვის არის საჭირო მოთხოვნილი თანხა. პროგრამის განხორციელება დაიწყება მომავალი წლის იანვრიდან და სავარაუდოდ პირველი ეტაპი იქნება საბჭოს წევრებისთვის ტრენინგების ჩატარება“.

**გრიგოლ ვეფხვაძე:** „გადამზადება შეიძლება ჩავატაროთ იმ კუთხით, რომ ბენეფიციარებს ვასწავლოთ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შედეგად, მათ მიეცემათ საშუალება შემდგომში წარადგინონ პროგრამა მუნიციპალიტეტში და ჩვენგან აითვისონ შესაბამისი თანხა“.

**ნანა შატერაშვილი:** „თუ არის განსაზღვრული ვინ განიხილავს შემოსულ განაცხადებს და ვინ მიიღებს გადაწყვეტილებას ამასთან დაკავშირებით?“

**ნინო ნიკოლავა:** „მერის ბრძანებით შეიქმნება შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც იქნებიან ჩართული მუნიციპალიტეტის სხვადასხვა წარმომადგენლები. ისინი იმსჯელებენ თანხაზეც, რამდენი უნდა გამოიყოს ან საერთოდ უნდა დაფინანსდეს თუ არა ინიციატივა. სწორედ ასეთ ფორმატში - ჯგუფურად მიიღება გადაწყვეტილება“.

**ნინო ტაგანაშვილი:** „მისასალმებელია სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი პროგრამის არსებობა გენდერული თანასწორობის კუთხით, თუმცა შეიძლებოდა უფრო განვრცობილად განგვეხილა არსებული პრობლემები. მაგალითად სექსუალური შევიწროვების კუთხით. აუცილებელია რაიმე სახის დოკუმენტში, თუნდაც შინაგანაწესში, იყოს ჩაწერილი სექსუალურ შევიწროებაზე გარკვეული რეგულაციები. საჯარო სამსახურში თავისუფლად შეიძლება განხორციელდეს ამგვარი დისკრიმინაცია. ჩვენი ორგანიზაციის სახელით წარვადგენთ საჩივრის ფორმას, რომელსაც შეავსებენ სექსუალურად დისკრიმინებული ადამიანები. აღნიშნული საჩივრები განხილულ იქნება დამოუკიდებელ კომისიაზე, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილი იქნებიან აგრეთვე გენდერული საბჭოს წევრებიც. კომისია იმსჯელებს აღნიშნული ფაქტების აღსაკვეთ ღონისძიებებზე“.

**ნინო ნიკოლავა:** „ვფიქრობ, რუსთავის მერიაში გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით და ის მინიმალური სტანდარტები შეტანილია შინაგანაწესში. ეს ჩანაწერი მოიცავს ყველა სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრას, მათ შორის სექსუალურ შევიწროვებასაც და ეს სავსებით საკმარისია, რათა საჯარო მოხელეს ჰქონდეს ინფორმაცია ამ კუთხით. რაც შეეხება განხორციელების მექანიზმს, ამ მიმართულებითაც ჩანაწერში გამახვილებულია ყურადღება, რომ მსგავსი ფაქტის მოხდენის შემთხვევაში, მოხელე უფლებამოსილია, მიმართოს მერიის აუდიტის სამსახურს, რომელიც დაიწყებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ან სხვა სამართლებრივი პროცედურების წარმოებას“.

**ნინო ქავთარაძე:** „მსგავსი ჩანაწერი არსებობს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შინაგანაწესშიც. გამახვილებულია ყურადღება დისკრიმინაციის აღმოფხვრაზე და ვფიქრობთ, ეს ჩანაწერი უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია. ამას გარდა, დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვთვლით, რომ გასაჩივრების მსგავს ფორმას არ საჭიროებს რუსთავის საკრებულო“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**ნინო ქავთარაძე**

საკრებულოს გენდერული თანასწორობის  
საბჭოს სხდომის თავმჯდომარე